პროექტი

საქართველოს კანონი

"სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N56, 28. 12. 2005 წ. მუხლი 433) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "დ[1]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ[1]) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის უფროსებს, მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს, აგრეთვე კონტროლის პალატის შემოწმებისა და აუდიტორული საქმიანობის უფლების მქონე მუშაკებს;"

2. კანონის მე-15[2] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 15[2]. საქართველოს კონტროლის პალატის მუშაკების კომპენსაციის გაანგარიშება.

1. კონტროლის პალატის დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის უფროსებს, მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს, აგრეთვე შემოწმების და აუდიტორული საქმიანობის უფლების მქონე მუშაკებს საპენსიო ასაკის მიღწევიდან თუ მათ აქვთ არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟი, მათ შორის 5 წელი მაინც საქართველოს კონტროლის პალატის სისტემაში კომპენსაცია ენიშნებათ - გათავისუფლების მომენტისთვის მათი თანამდებობრივი სარგოს ნახევრის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის პალატაში მუშაობის სავალდებულო ვადები არ ვრცელდება კონტროლის პალატის თავმჯდომარეზე, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებზე. მათ კომპენსაცია ენიშნებათ საპენსიო ასაკის მიღწევისას ან თუ აქვთ

არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟი, მათ შორის კონტროლის პალატაში სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების არანაკლებ ექვსი თვის მუშაობის სტაჟი და უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვთ" საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის "ა", "გ", "ზ", "თ", და "ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე. მათ კომპენსაცია ენიშნებათ კონტროლის პალატის მოქმედი თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოს 2/3 ოდენობით."

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22^1 მუხლი:

" მუხლი 22^1. კომპენსაცია საქართველოს კონტროლის პალატის მუშაკის გარდაცვალების გამო

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში კონტროლის პალატის მუშაკის გარდაცვალების შემთხვევაში, მის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო მეუღლე და შვილებს (ასაკის მიუხედავად) ენიშნებათ კომპენსაცია კონტროლის პალატის მუშაკის კომპენსაციის 75%-ის ოდენობით, მიუხედავად გარდაცვლილის მიერ ასეთი კომპენსაციის მიღების უფლების მოპოვებისა."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი